

მანანა შელია¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/sou.2023.21.19>

ვაზის კონცეპტის ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები

აბსტრაქტი. ენის სიმდიდრე განისაზღვრება როგორც ლექსიკური მარაგის, ასევე კონცეპტური სამყაროს სიმდიდრით და მრავალფეროვნებით.

სიტყვები საინტერესო ფაქტებისა და პროცესების სამყაროა, რომელთაც სპეციფიკური ლექსიკურ-სემანტიკური თვისებები გააჩნიათ. ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობის შესწავლა, მათი ლინგვისტური ანალიზი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მათ შესახებ.

ფიტონიმები, ლექსიკის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი, სახეობაა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის ენობრივ კონცეპტუალიზაციაში. მათ უნიკალურ კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევენ.

ვაზი კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც საქართველოს ფლორისტიკული სიმბოლო, ეს წმინდა მცენარე გარკვეული ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებებით გამოირჩევა.

მოცემული სამეცნიერო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ვაზის კონცეპტის დესკრიპტიული, ეტიმოლოგიური, მორფოლოგიური, სემანტიკური, ლინგვოკულტუროლოგიური და კომპარატიული ანალიზი როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ასპექტში.

საკვანძო სიტყვები: ფიტონიმი, ვაზი, სიმბოლო, კონცეპტი, კულტურა, ლექსიკურ-სემანტიკური, ფრაზეოლოგიზმი.

¹ **მანანა შელია**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Lexical-semantic Features of the Concept Vine

Abstract. Language is considered as a cultural, social and psychological phenomenon. Each language is a symbolic system that preserves national culture, history and traditions character and consciousness. Language richness is defined by diversity of the conceptual world.

Words are a world of interesting facts and processes that have specific lexical-semantic properties. The vine is one of the most important parts of human culture. As a floristic symbol of Georgia, this sacred plant is distinguished by certain lexical-semantic features.

Since ancient times, both Georgian and British people have formed language units that describe the cultivation and care of the vine, as well as the realities of life, traditions and their cultural values.

The paper investigates the linguistic peculiarities of the phytonym vine, its conceptual sphere via descriptive, etymological, morphological and comparative research methods in both linguistic and extralinguistic aspects. **Keywords:** phytonym, vine, symbol, concept, culture, lexical-semantic, phraseology.

შესავალი. ენა წარმოადგენს ადამიანის უშუალო გარემოს, რომელიც ასახავს თითოეული ერის სულიერ კულტურას, მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომელიც ასოცირდება წეს-ჩვეულებებთან და ტრადიციებთან. თითოეულ ენას აქვს სამყაროს აღქმისა და კონცეპტუალიზაციის საკუთარი გზა.

ენის ლექსიკა ყველაზე მოძრავი დონეა, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, რადგან სწორედ ლექსიკაშია ასახული ეროვნული მსოფლმხედველობის სპეციფიკა. ლექსიკურ-სემანტიკური დონე იძლევა ყველაზე მეტ მასალას სამყაროს ენობრივი სურათის ორიგინალურობის გამოსავლენად.

სიტყვებს, როგორც ლინგვისტურ ერთეულებს სპეციფიკური ლექსიკურ-სემანტიკური თვისებები და ასევე საკუთარი ისტორია გააჩნიათ. ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობის შესწავლა, მათი ლექსიკურ-სემანტიკური, ეტიმოლოგიური ლინგვოკულტუროლოგიური და კომპარატიული ანალიზი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მათ შესახებ.

მოცემული სამეცნიერო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს „ვაზის“ კონცეპტის დესკრიპტიული, ეტიმოლოგიური, სემანტიკური, ლინგვოკულტუ-

² **Manana Shelia.** Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

როლოგიური და კომპარატიული ანალიზი როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ასპექტში ქართული და ინგლისური ენის ლექსიკური მასალის საფუძველზე.

დისკუსია ბუნების საოცარ ქმნილებებს, მცენარეებს ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ყველა კულტურაში მცენარეები წარმოადგენს ბუნების სამყაროს მთავარ სიმბოლოს და უნიკალურ კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევენ. ვაზი კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც სფეციფიკურია როგორც ქართული, ასევე ბრიტანული კულტურისთვის.

მსოფლიო ლინგვოკულტურაში ვაზი ითვლება როგორც ღირებულება და ასევე როგორც კონცეპტი. კონცეფტს აქვს განვითარების მდიდარი ისტორია. ვ. ა. მასლოვას განმარტებით „ნებისმიერი ცნება, რომელსაც აზრობრივი კომპონენტი გააჩნია, თავისი ფუნქციონერების თვალსაზრისით შეიძლება გახდეს ღირებული შესაბამის კულტურულ კონტექსტში“ (Маслова 2015: 23-31).

ა. ვეჟიციკაია განსაზღვრავს კონცეფტს, როგორც „ობიექტს „იდეალური“ სამყაროდან, რომელსაც აქვს სახელი და ასახავს ადამიანის გარკვეულ კულტურულად განპირობებულ იდეებს „რეალობას“ სამყაროს შესახებ“ (Вежбицкая 1997: 23).

როგორც ს. გ. ტერ-მინასოვა აღნიშნავს „ენობრივი სურათი ასახავს რეალობას ენის საშუალებებით („ენა, როგორც კულტურის სარკე“) სამყაროს კულტურული სურათის მეშვეობით“ (Тер-Минасова 2008: 23).

მსოფლიოში მევენახეობა და მეღვინეობა თავის საწყისს საუკუნეთა სიღრმეში იღებს. ვაზის ისტორია უძველესი ხანიდან მომდინარეობს. პალეონტოლოგიური მონაცემებით ეს მცენარე ადამიანს წინა გეოლოგიური პერიოდებიდან (ცარცის, მესამეული) მემკვიდრეობით გადაეცა, ამდენად, იგი რამდენიმე ათასეული წლით უფრო ძველია, ვიდრე თვით კაცობრიობა³. ბოლო მონაცემების თანახმად, საქართველო ღირსეულად ითვლება კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*L.) წარმოშობის ერთ-ერთ პირველ ცენტრად (ეხზაია 2012).

ვაზი, როგორც ქართველი ერის სიმბოლო საუკუნეების განმავლობაში წმინდა ხედ იყო აღიარებული. ისტორიული წყაროებით და გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვაზის სამშობლო საქართველოა. საქართველოში მოპოვებული მასალები ყველაზე ადრეული ენეოლითური პერიოდისაა. იგი

³ <http://old.allwine.ge> › blog › mcenare-vazi-ufro-uzvele

ძველი წელთაღრიცხვით VII-VI ათასწლეულითაა დათარიღებული, რაც მულავერის, გიორგი წმინდას და სოხუმის არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი ვაზის წიპწებითაა დადასტურებული.

სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. 6000-4000 წლებიდან მომდინარეობს ვაზის სელექცია. აქედან, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს ამერიკაში. მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიშის. საქართველოში მოიპოვება ვაზის მდიდარი ასორტიმენტი, მათი რაოდენობა 500-ზე მეტია. ქართული ვაზის სამოცდაათამდე ჯიშის დღესაც მოჰყავთ ევროპაში.

ვაზი მოიაზრება როგორც წმინდა მცენარე, ღვინო კი – წმინდა სასმელი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი *წმინდა ნინოს* თავის წილხვედრ მიწაზე საქადაგებლად რომ გზავნიდა, „მიჰყო ხელი... რტოსა მას ვენახისასა, მოჰკვეთა, შექმნა ჯვრის სახედ“ და ქალწულს გადასცა – ამ ჯვრით უნდა გაექრისტიანებინა მას საქართველო. დიდი სასოებით მიიღო მოციქულთა სწორმა ვაზის ჯვარი და ნიშნად აღთქმისა, რომ ღირსეულად ადასრულებდა კურთხევას, მოიკვეცა თმა და რტოები შეკრა. ჩამობრძანდა საქართველოში და ქართველი ხალხი აზიარა ქრისტიანობას (კენკიშვილი, 2006)

ვაზი ქართველების საკულტო მცენარეა, ხოლო თმები – მზის სხივის სიმბოლო. ამ სასწაულმოქმედი ჯვრით მან ქართველებში დანერგა ახალი რწმენა და მისი ქადაგებით 326 წელს იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (თორაძე 2006: 41-52).

ვაზის ჯვრად ქვეყა ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა კოლხურ-ქართული ცივილიზაციის კავშირები ძველ სამყაროსთან, რომლის დასტურად გვევლინება საყოველთაოდ აღიარებული ავტორების ჰომეროსის, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის და სხვების ნაშრომები. პოემაში „არგონავტიკა“ (ძვ. წ. III ს. აპოლონიოს როდოსელი) პოეტურად გადმოცემულია ლეგენდა ბერძენი მოგზაურების შესახებ სიმდიდრით განთქმულ კოლხეთში. ლეგენდის მიხედვით დიდებულ სასახლეში მათ ბევრი საოცრება ნახეს: ბუმბერაზი ხეები ხვიათა ვაზებით და მათ ჩრდილში მჩქეფარე ზღაპრული მადრევნები, საიდანაც საუკეთესო ღვინო, რძე, სურნელოვანი ზეთი და ცივი, ანკარა წყარო გადმოდიოდა. „იაზონმა და მისმა მხლებლებმა დაუბრკოლებლივ გადააბიჯეს ფეხი – სასახლის ჭიშკრის ზღურბლს, რომელთანაც მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზების ქვეშ ოთხი დაუმრეტელი მადრევანი მოჩუხჩუხებდა“ (მირველაშვილი, მადრაძე 2015: 52).

დიდი ბრიტანეთში ღვინოს აწარმოებდნენ უძველესი დროიდან. რომაელებმა ვაზი ბრიტანეთში შემოიტანეს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 43 წელს. რომის იმპერიის ბატონობის ხანაში, მევენახეები ეწეოდნენ მეღვინეობას თანამედროვე ლონდონის რომაელების ბანაკის ტერიტორიაზე - *ლონდინი-უმში* - *Londinium*. ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადგინეს რომაული ოკუპაციის დროს ბრიტანეთის მიწაზე დაარსებული ვენახების შესახებ.

რაც შეეხება ვაზის სიმბოლიკას კულტურ ოდამში - ვაზის კულტური მნიშვნელობა დრუიდულ ცოდნაში სიმბოლოს წარმოადგენს. ვაზი არის თემა, რომელიც შეინიშნება კულტურ ხელოვნებაში. ხვეული ვაზები ხშირად გვხვდება გობელენებზე, ნაწერებზე, დეკორატიული ხელნაკეთობების ნიმუშებზე და ჩუქურთმებზე. ეს მიუთითებს მარადისობისა და მრავალფეროვნების სიმბოლიკაზე (განშტოება და გაფართოება ახალი მიმართულებით). ვაზის სხვა სიმბოლური ასოციაციები კულტური სიბრძნის მიხედვით მოიცავს შემდეგს: ვაზის სიმბოლური კულტურ მნიშვნელობას წარმოადგენს *რეგენერაცია, განახლება, შესაძლებლობა, კავშირი, გაფართოება, ნაყოფიერება, სიკეთე* - *regeneration, continuation, opportunity, connection, Expansion, fertility, bounty*.

ანგლო-საქსების პერიოდში რამდენიმე ვენახიც გაშენდა, მაგრამ 1066 წელს უილიამ დამპყრობელთან ერთად ჩამოსული ნორმანი დიდგვაროვნები წარმატებულ მევენახეობას და ინგლისური ღვინის დაყენებას ეწეოდნენ. XI საუკუნეში საკადასტრო წიგნში *Domesday book* - საშინელი სამსჯავროს წიგნი, სადაც აღნიშნული იყო ნორმანთა ინგლისური სამფლობელოები, დარეგისტრირებული იყო დაახლოებით 40-ზე მეტი მევენახეობის მუდრეობა. ამჟამად, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე 1800 ჰექტარზე მეტი ვენახია გაშლილი, ფუნქციონირებს დაახლოებით 470-მდე ღვინის საწარმო.

XVII საუკუნეში მევენახეობის მიმართ დიდი ინტერესის გამო სამხრეთ ინგლისის მთელ რიგ ტერიტორიაზე მიწის მფლობელები ცდილობდნენ თავიანთ მამულში ვენახების გაშენებას. ინგლისის ვენახების ასოციაცია - *The English Vineyards Association*, ამჟამად, დაფიქსირებული როგორც დიდი ბრიტანეთის ღვინოები - *Wines of Great Britain* 1967 წელს დაარსდა.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაში შეინიშნებოდა იმ ენობრივი ერთეულების ფორმირება, რომლებიც აღწერს ვაზის მოშენებას, მოვლას, ასევე მასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ რეალიებს, ხალხთა ტრადიციებს და მათ კულტურულ ფასეულობებს.

კონცეპტი „ვაზი“ გამოირჩევა როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში გარკვეული ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული და ინგლისური ენები განსხვავებულ ენათა ოჯახში შედის,

თუმცა საინტერესოა ამ ორ ენაში ვაზის აღმნიშვნელი ლექსიკის შედარება ერთმანეთთან.

როგორც საქართველოს ფლორისტიკული სიმბოლო, ეს წმინდა მცენარე გარკვეული ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებებით გამოირჩევა.

ვაზი (ლათ.*Vitis*) - მცენარის გვარი, ეკუთვნის ვაზისებრთა ოჯახს (*Vitaceae* Lindl.). თითოეული ვაზის ჯიში ნიშან-თვისებით, ღირსებითა და ნაკლით გამოირჩევა ერთმანეთისგან. ამის მიხედვით ვაზ-ყურძნის დახასიათება-აღწერის წესი შემუშავდა, რომელიც XIX საუკუნეში ამჟღავნადა ანუ ვაზთა აღმწერლობად წოდებულ, ცალკეულ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბდა. ამჟღავნა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ვაზის აღწერას. მსოფლიოში არსებული ყველა სახეობა და ჯიში მოთავსებულია ერთ საერთო ოჯახში, რომელსაც ეწოდება ამჟღავნა. ოჯახი ამჟღავნა შეიცავს 10 გვარს; ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან თავიანთი ბოტანიკური ნიშან-თვისებებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი გვარია ვიტისი (ქანთარია, რამიშვილი 148: 444).

საინტერესოა ქართული სიტყვის ვაზის ეტიმოლოგია. ვენახი უძველესი წარმომავლობის ქართული სიტყვაა, ის თავიდან ერთი ძირი ვაზის მნიშვნელობას ატარებდა, ხოლო XI-XII საუკუნეებიდან ვაზის ბალის მნიშვნელობა შეიძინა, სიტყვა ვაზი (ყურძნის ხე [საბა] ძველ ქართულ ძეგლებში არ გვხვდება და IX-X საუკუნეებიდან შემოდის ხმარებაში. ვენახის შესახებ მიუთითებენ, რომ იგი „ქართულ-ზანურ“ დონეზე ინდოევროპულიდან ჩანს ნასესხები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 1).

ივ. ჯავახიშვილის აზრით კი ტერმინი „ვენახი“ ღვინის ხისგან (ღვენახე, ღვენახი, ვენახი) უნდა იყოს წარმომდგარი, გამოდის რომ ღვინო როგორც პროდუქტი და ტერმინი მცირე პერიოდით მაინც წინ უნდა უსწრებდეს ტერმინ „ვენახის“ წარმოშობას, ვენახი კი მხოლოდ კულტურაში გარდამავალი ან უკვე კულტურული ვაზის ტერმინი უნდა იყოს. ძველქართულ ძეგლებში ვაზი ხელ მოიხსენიება (კობაიძე 2015: 16-17). განსხვავებული ვერსია წარმოადგინეს ენათმეცნიერებმა თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა. მათ უცხო ენიდან ნასესხებად მიაჩნიათ ყურძენიცა და ვაზიც, მიუხედავად იმისა, რომ თ. გამყრელიძე ვაზს ამიერკავკასიის მევენახეობის ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ განიხილავს (Гамкрелидзе, Иванов 1984: 651).

ინგლისური სიტყვა „vine“ – „ვაზი“ წარმოშობილია ძველი ფრანგული სიტყვიდან „vigne“, რაც ნიშნავს „ვაზს“ ან „ვენახს“, თავის მხრივ მომდინარეობს ლათინურიდან „vine, vineyard“, პროტო ინდო-ევროპულიდან PIE - *wóyh₁ nom („vine, wine“), *weyn-, wóih₁nom, *woino-. მოცემული სიტყვა დაკავშირებულია ბერძნულ, სომხურ, ხეთურ და არაინდოევროპულ ქართულ

ენასთან და დასავლეთ სემიტური (ებრაული yayin, ეთიოპიური გზა) „ღვინის“ აღმნიშვნელ სიტყვებთან. ეს სიტყვა პირველად ინგლისურ ენაში გამოჩნდა 1300-იან წლებში.

სიტყვა *ვენახი*, *ვაზის ბაღი* (აგრ. *winzerd*) [თანამედრ. ინგლ. *VINEYARD* ← *wīn* არსებ. „ღვინო“ + *weard* არსებ. „შემოღობილი ადგილი; ეზო, ბაღი“; გოთ. *weinagards*; ძვ. საქს. *wīngardo*; ჰოლ. *wijngaard*; ძვ. ზემ.-გერმ. *wīngart*; ძვ. ისლ. *víngarðr* (თანამედრ. ისლ. *víngarður*); შდრ. რუს. *виноград* „ვაზი“;

ინგლისურ ენაში უამრავი ლექსიკონია, სადაც სიტყვა *vine*-ს და მასთან დაკავშირებულ ლექსემებს შემდეგი დეფინიციები გააჩნია. *Cambridge Dictionary* -ის მიხედვით ინგლისურ ენაში არსებითი სახელის დეფინიცია შემდეგია:

Vine noun - the climbing plant that produces grapes as its fruit;

ლექსიკონში *Collins Dictionary* სიტყვა *vine*- ის მნიშვნელობა ასეთია: A vine is a plant that grows up or over things, especially one which produces.

დერივაციული - ზედსართავი სახელის ფორმებია: *vined*, *vineless* ('vineless'), *vinelike* ('vine, like), *viny* ('viny'); *vinegar*, *vintage*, *vinery*.

ლექსიკონში - *Chambers 20th Century Dictionary* ასეა წარმოდგენილი სიტყვა *vine* - და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პარადიგმატული სიტყვა-ფორმები: 1) *the plant from which wine is made: the woody climbing plant that produces grapes: (hort.) a climbing or trailing plant, or its stem.—adj. Vīnā'ceous* (სპეც.) ღვინისა, ყურძნისა;

2) (სპეც.) ბორდოსფერი *belonging to wine or grapes: wine-coloured.—ns. Vī'nāge*, *the addition of spirit to wine to enable it to stand transportation; Vīnā'lia*, *a wine festival in honour of Jupiter, celebrated on 23d April.—adjs. Vīnā'rian*, *relating to wine; Vine'-clad*, *covered with vines.—ns. Vine'-cul'ture* (same as *Viticulture*); *Vine'-curcu'lio*, *a small reddish curculio producing galls on the stems of grape-vines; Vine'-disease'*, *a disease affecting the vine; Vine'-dress'er*, *one who dresses or trims and cultivates vines; Vine'-fret'ter*, *a small insect that infests vines; Vine'-gall*, *a gall made on the stem of the vine by a vine-curculio; Vine'-land*, *land on which vines are grown; Vī'nery*, *ვენახის სათბური; a hot-house for rearing [riə] vines; გაზრდა, მოყვანა*, 2) გამრავლება (ცხოველების), 3) დამუშავება, კულტივირება (მცენარეების) *Vineyard* (*vin'yard*), *a plantation of grape vines.—adj. Vī'nic*, *ღვინის მევენახეობის pertaining to, or derived from, wine.—ns. Vin'iculture*, *მევენახეობა the cultivation of the vine; Vin'icultūrist; Vin'-ordinaire'*, *common wine: cheap wine mixed with water, commonly drunk in France and the south of Europe.—adjs. Vī'nose*, *Vī'nous*, [*'vainəs*] *pertaining to wine: wine-coloured: caused by wine. ღვინისა; 2) მსმელი; 3) მთვრალი; 4) სიმთვრალით გამოწვეული; 5) ბორდოსფერი — maroon, claret colour n. Vinos'ity*, *state or quality of being vinous.— თრობა; 2) ღოთობა;*

3) ალკოჰოლიანობა *adj.* *Vī'ny, [vaini] pertaining to or producing vines.*—*Dwell under one's vine and fig-tree, to live at peace on one's own land.* [O. Fr.,—L. *vinea*, a vine—*vinum*; Gr. *oinos*, wine. ლერწისა, ვაზის ლერწთან დაკავშირებული; 2) ხვეული, გართხმული; 3) ვაზშემოხვეული.

სიტყვა *vine*-ს სხვადასხვა ენაში შემდეგი ფორმები გააჩნია: ფრანგული - *vigne*, გერმანული - *Rebe*, ბერძნული - *αμπέλι*, იტალიური - *vite pianta*, პორტუგალიური - *vinha*, რუსული - *лоза*, უკრაინული - *виноградна лоза*, პოლონური - *winorośl*, რუმინული - *viță de vie*; ხორვატული - *loza*, ჩეხური - *vinná réva*, დანიური - *vinranke*, ჰოლანდიური - *wijnstok*, შვედური - *vinranka*, ნორვეგიული - *vinranke*, ესპანური - *parra*, ფინური - *köynnöskasvi*, თურქული - *asma bitki*, არაბული, تَبْنٌ مُّسَلَّى, ჩინური - 葡萄 იაპონური - 葡萄植物, კორეული - 덩굴식물, ვიეტნამური - *cây nho* და ა. შ.

ამჯერად, წარმოვადგენთ სიტყვა *vine* -ისგან ნაწარმოებ რთულ სიტყვებს, მაგალითად: *vine-leaf* - ვაზის ფოთოლი, *vineyard* - ვენახი, ზვარი, *vine cactus* - ვაზის კაქტუსი, *vine grower* - მევენახე, *vine harvest* - ყურძნის მოსავალი; *vine-store* - ყურძნის მაღაზია, *vine-louse* - ფილოქსერა, ვენახის ბუერი *vine-pest*, *vine-trade* - ღვინით ვაჭრობა; *vine shoot* - ვაზის ლერწამი, *vine-shop* - ღვინის მაღაზია, *vine culture* - ხვარა კულტურა, მევენახეობა, *vine shoot* - ლერწი; *vine prop* - ვენახისთვის შესაყენებელი ბიჯგი; *vinedresser* - მევენახე; *vine crop* - ვაზის კულტურა, *vinegar-cruet* - გრაფინი ძმრისთვის, *amur-vine* - ბოტ. ამურის ვაზი, *vine-making* - მეღვინეობა, *magnolia-vine* - ლიმონურა, *vine maple* - ვაზის ნეკერჩხალი, *vinework* (ასევე ცნობილი როგორც *vinery* - მევენახეობა): შუა საუკუნეების ხელნაწერებში ფილიგრანული მუშაობის კიდევ ერთი ტერმინია, *vine-land* და ა. შ.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ვაზსა და ღვინოს ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდა. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების კულტურა და ტრადიცია. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მეღვინეობის, ვაზის და ღვინის კულტურაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. უამრავი ქართული ნაწარმოებია შექმნილი პროზისა და პოეზიის სახით ვაზის შესახებ, ასევე ეძღვნება სხვადასხვა ხალხური გამონათქვამები, ანდაზები, ლექსები, საგალობლები და სადღეგრძელოები. როგორც ცნობილია: *ვაზი და ყურძნის ფოთლები* - *vine – wine leaves* - მეღვინეობის სიმბოლოა. ამ დიდი კულტურის ცენტრში კონკრეტული მცენარე - ვაზია, რომელიც კულტურის საწყისს და საფუძველს წარმოადგენს. ამიტომაც, საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ ქართული მრავალხმიანი სიმღერა ჟანრობრივად მრავალფეროვანია და მოიცავს: სუფრის, ღირიკულ, სატრფიალო, საფერხულო, საცეკვაო, ეპიკურ, საგმირო სიმღერებს და საგალობლებს.

XII საუკუნეში მეფე დემეტრე-დამიანემ (1125-1156 წწ.) – დავით აღმაშენებლის შვილმა – ღმერთს უძღვნა ვაზისა და მზის ერთიანობის სიმბოლო მეტად ორიგინალური საგალობელი „შენ ხარ ვენახი“:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „ვაზის ყვავილობა“, სამშობლოდან შორს მყოფი მწერალი ვაზის შესახებ ასე ამბობს: „შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, მე შენი ლერწი, მშობლიურ მიწის სინოყივრეს მონატრებული“.

ვაზი, ვენახი, ღვინო მუდამ იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წყარო. ქართველი მეურნე უძველესი დროიდან აშენებს ვენახს, უვლის ვაზს, გამოჰყავს ვაზის ახალი ჯიშები. მათი ურთიერთობა მუდამ განუყოფელი იყო. ვაზშია ჩამყნობილი ქართველი კაცის სიბრძნე და სიყვარული. ამიტომაც ვაზის ქართულ ჯიშებს ცნობილი მევენახე, პროფესორი რევაზ რამიშვილი „ისტორიის ცოცხალ ძეგლებს“ უწოდებდა (რამიშვილი 2000).

პოეზია ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც სიტყვების საშუალებით ოსტატურად გადმოსცემს მშვენიერ სამყაროს, ავითარებს როგორც მხატვრულ სიტყვას, ასევე ადამიანის სულიერ ცხოვრებას. შოთა რუსთაველის განმარტებით პოეზია „სიბრძნის დარგია“. ცნობილმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, რომელიც ვაზის მხარეში, ალაზნის დიდებულ ველზეა დაბადებული მრავალი ლექსი მიუძღვნა როგორც სამშობლოს სიყვარულს, ასევე ქართველთა საკულტო მცენარეს - ვაზს:

„ვაზო, ლამაზო, ფესვო ნაკურთხო,
ვაზო, ქართველი კაცის დიდება,
ფერით ზურმუხტო, ბარაქით უხვო,
შენით სამშობლო ხარობს, ირთება“.

ლ. სორდია აღნიშნავს: „სულიერი ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, ვაზის, მტევნის სახეები გალაკტიონმა თავისუფლების, სიყვარულის, სიცოცხლის მომდერალ პოეზიას დაუკავშირა და შთაგონების ახლებური ნაყოფით მოგვხიბლა: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად, მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად“ („გადავიარეთ მრისხანე ზღვები“) (სორდია 2009: 24).

პოეტი გიორგი ლეონიძე თავის ნაწარმოებს „ნატვრის ხეს“ – ვაზფურცელას უწოდებს.

„ყანა კახური, ათქვირებული, და ყამირები ყარაიისა
ვაზი - თორმეტი ფურის ნაწველი, დასხმული ოქროს ბარძიმივითა,
მხარე ვაზებში გამოხვეული... იქ ფერფლი ჰყრია ჩემი ყრმობისა.

ძველ ტაძარში სარკმელიდან ჩაპარულა ვაზის რტო,
ტრაპეზს შემოხვევია ქარვისფერი აკიდო“.

ქართველებისთვის ჭეშმარიტი ქართული სადღეგრძელო არის პატარა
ლოცვა, რომელიც გამოირჩევა თავისი გულწრფელობით. ვაზისადმი მიძღვ-
ნილი ერთი-ერთი ულამაზესი სადღეგრძელოა:

„გაუმარჯოს ქართულ ვაზს,
ბევრი ჭირის გადამტანს,
გაუმარჯოს ვაზის წვენს,
ის ამაგრებს ქართულ გენს“.

ბრიტანელები მსოფლიოში ვაზის მოშენების და ღვინის მოყვარულები
არიან. მაშასადამე, უძველესი დროიდან ინგლისურ ენაში წარმოიშვა ვაზის
ჯიშების და ღვინის ფერის, თვისებების და ხარისხის აღმნიშვნელი ენობრივი
ერთეულები. ცნობილმა ბრიტანელმა პოეტებმა და მწერლებმა ვაზსა და
ღვინოს უამრავი ნაწარმოები მიუძღვნეს.

ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი პერსი ბისი შელის ლექსი *‘The Vine-
Shroud’* – „ვაზის სუდარა“ გარკვეული პოეტური ძალის მატარებელია, სადავ
ვაზი (გამოხატავს სიცოცხლეს) შეხამებულია სუდარასთან (სიკვდილის აღმ-
ნიშვნელი).

Flourishing vine, whose kindling clusters glow
Beneath the autumnal sun, none taste of thee;
For thou dost shroud a ruin, and below
The rotting bones of dead antiquity.

ჯეიმს თომსონი - James Thomson (ფსევდონიმი ბიში ვანოლისი - *Bysshe
Vanolis*) ვიქტორიანული ეპოქის შოტლანდიელი პოეტია, რომელმაც ვაზს
პატარა ორკუპლეტიანი ლექსი მიუძღვნა - *‘The Wine of Love’* – „სიყვარულის
ღვინო“.

The wine of Love is music,
And the feast of Love is song:
And when Love sits down to the banquet,
Love sits long:



Sits long and ariseth drunken,
But not with the feast and the wine;
He reeleth with his own heart,
That great rich Vine.

რობერტ ჰერიკი - Robert Herrick XVII საუკუნის ინგლისელი ლირიკოსი პოეტია. მის მიერ დაწერილი ლექსი „*The Vine*” მდიდარი მეტაფორული და სიმბოლური ასპექტით არის გაჯერებული. ლექსში სიყვარულის თემა დომინირებს, სადაც მამაკაცი ოცნებობს ქალზე, სახელად ლუსია. მეტაფორის მეშვეობით მამაკაცი ვაზის განსახიერებით არის წარმოდგენილი.

I dreamed this mortal part of mine
Was metamorphosed to a vine,
Enthralled my dainty Which crawling one and every way
Lucia.

.....
And found (ah me!) this flesh of mine
More like a stock than like a vine.

მამასადამე, ბრიტანულ და ქართულ პოეზიაში ფლორისტიკულ მცენარეებს, მათ შორის ვაზს დიდი მნიშვნელობა და განსაკუთრებული ადგილი უკავია. ძველი თუ ახალი თაობის პოეტები დიდი გრნობებით გამოხატავენ საქართველოში და მსოფლიოში გავრცელებული ერთ-ერთი კულტურის ვაზის სილამაზეს, სინაზესა და მადლს.

ხალხთა ისტორიისა და კულტურის კავშირი ენასთან განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ფრაზეოლოგიურ დონეზე. ფრაზეოლოგიური ერთეულები ემოციონალური შეფერილობებით ასახავს ეროვნულ თავისებურებებს, ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და წარმოდგენს ნებისმიერი ერის კულტურის სახეს და სიბრძნისეულ განძს.

ვაზი ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. ვაზისა და ღვინის სულიერ-მატერიალური ღირებულებები ყველაზე მეტად ქრისტიანობამ გაითავისა. ამიტომაც, ვაზი ბიბლიაში მრავალჯერ არის მოხსენიებული.

მიწიური ვენახი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ქეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია, 2, 21) (5, 126) (ბიბლია 1990).

იოანეს სახარებაში გამოყენებული ფრაზაში „მე ვარ ვაზი“ ღვთიური გენეალოგიისა და ადამიანის წმინდა კავშირი ფიქსირდება. ღვთის მიერ დარგული ვაზი, იესო ქრისტეს სიმბოლოა. თავად იესო ქრისტე მეტაფორულად მიიჩნევს „ქეშმარიტ ვაზს“.

„მე ვარ ვაზი ქეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა“.

„I am the true vine, and my Father is the gardener“.

„დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში“.

„Remain in me, as I also remain in you. No branch can bear fruit by itself; it must remain in the vine. Neither can you bear fruit unless you remain in me“.

„მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ღერწები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ“.

„I am the vine; you are the branches. If you remain in me and I in you, you will bear much fruit; apart from me you can do nothing“.

„ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მოწაფენი“.

„This is to my Father’s glory, that you bear much fruit, showing yourselves to be my disciples“ . *John 15:1-8* (New International Version (NIV)).

„რადგან იქნება მშვიდობის თესლი: ვაზი გამოიღებს თავის ნაყოფს, მიწა მოიტანს თავის მოსავალს და ცა მოსცემს თავის ცვარს; და ამ ერის ნატამალს დაუუმკვიდრებ ყველაფერს ამას“ (*ზაქარია წინასწარმეტყველი 8:12, ძველი აღთქმა*).

„For there will be peace for the seed: the vine will yield its fruit, the land will yield its produce and the heavens will give their dew; and I will cause the remnant of this people to inherit all these things“ (*Zechariah 8:12*) (New International Version (NIV)).

იდიომები მდიდარია მცენარეთა სამყაროს აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ხალხთა სულიერ და კულტურულ სამყაროსთან. ზოგი იდიომები ბიბლიიდან მომდინარეობს, ზოგი – ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას ეფუძნება. ძალიან ბევრი კი ანტიკური მითებიდან თუ სხვადასხვა ლეგენდიდან იღებს სათავეს. აქვე წარმოვადგენთ სიტყვა *vine* -თან დაკავშირებულ რამდენიმე ინგლისურ იდიომს, მათ ინგლისურ და ქართულ დეფინიციებს:

be dead on the vine - die on the vine - To fail at an early stage or never come to fruition, typically due to neglect, infeasibility, or lack of resources. წარუმატებლობა ადრეულ ასაკში ან არასდროს წარმატების მიღწევა, როგორც წესი, უყურადღებობის, არაპრაქტიკულობის ან რესურსების ნაკლებობის გამო; მაგ., *The president made sweeping promises during his campaign, but many of those have died on the vine.*

wither on the vine – to be unsuccessful due to neglect or inaction – იყო წარუმატებელი უყურადღებობის ან უმოქმედობის გამო; მაგალითად, *The chance to make peace certainly exists, but could still wither on the vine.*

clinging vine – 1. A person, typically a woman, whose relationship with someone or others is characterized by emotional overdependence and/or helplessness – ადამიანი, როგორც წესი, არის ქალი, რომლის ურთიერთობა ვინმესთან ან

სხვებთან ხასიათდება ზედმეტად ემოციური დამოკიდებულებით და / ან უმწეობით; 2. *a woman who displays excessive emotional dependence on a man.* ქალი, რომელიც მამაკაცზე ზედმეტ ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მაგ., *I was at first attracted to her intrepid sense of adventure, but when we began dating, it became obvious she was a bit of a clinging vine emotionally.*

ანდაზები და გამონათქვამები ხალხური ზეპირმეტყველების ფართოდ გავრცელებული ქანრია, რომლებიც ხატოვნად აფიქსირებენ ისტორიული გამოცდილების ნიადაგზე შექმნილ განზოგადებულ სიბრძნეს. ა. ვ. კუნიჩი ანდაზებს და გამონათქვამებს უწოდებს კომუნიკაციურ ერთეულებს (Кунин 2005).

ქართულ ენაში უამრავი ანდაზაა, რომელიც ასოცირდება ვაზთან და ღვინოსთან. ასე მაგალითად:

„ყურძნის სიყვარულაზით, ვაზს ეხვეოდნენო.

ქარი ვაზს ფოთოლს ვერ დააყრევინებსო.

ვაზის მრგვლთან ის არ აქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.

ვაზსა, გასხლულსა, ცოცხალსა, ვინ ჩათვლის ჟამმოჭმულადა.

ვაზს გვერდით აუარეს და კრიკინას მისცეს სალამიო.

ვენახი ბედოვლათი ძმასავით არის: შეხვალ შემოგყვება, გამოხვალ გამოგყვება.

ვენახში შეხვალ – შეგყვები, გამოხვალ – გამოგყვები“ (ჩხენკელები 2009).

დასკვნა. მამასადამე, ინგლისური და ქართული ეროვნული ტრადიციების მატარებელი გამონათქვამები გამდიდრებულია სიმბოლისტური ელემენტებით და შთაგონებული იდეებით, ღრმა გრძნობებით გამოხატავს ეროვნულ ნიშანთვისებას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს და ფასეულობებს. ფლორისტკულმა სიმბოლოებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ყველა ეპოქაში, რომლებიც კვლავ ინარჩუნებს რელიგიურ, ზოგჯერ კი მისტიკურ მნიშვნელობებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბიბლია (1990): ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბილისი;

ეხვაია (2011): ე. ეხვაია, ქართული ავტოქტონური ვაზის ჯიშების და ველური ვაზის (*Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* [C.C. Gmel.] Hegi) პოპულაციების შედარებითი მორფომეტრული და მოლეკულურ სისტემატიკური შესწავლა, სადისერტაციო ნაშრომი. http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/Ekhvaia_Dissertation_short_1.pdf

თორაძე (2006): თ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, თბილისი;

- კობაიძე (2015): თ. კობაიძე, ტერმინების „ვენახი“ და „ღვინო“ წარმომავლობისათვის, „აგრარული საქართველო“ სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი, №12 (56);
- კენკიშვილი (2006) კახაბერ კენკიშვილი, ვაზი და საქართველო, 2006 კარიბჭე ამბები. <https://karibche.ge/skhvadaskhva/istoria/1120-vazi-da-saqarthvelo.html>
- მირველაშვილი, მაღრაძე (2015): მ. მირველაშვილი, დ. მაღრაძე, ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში, თბილისი/Tbilisi;
- როდოსელი (1975): აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბილისი;
- ფენრიხი, ჰაინც სარჯველაძე ზურაბ (2000) - ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი;
- ქანთარია, რამიშვილი (1948): ვ.ქანთარია, ნ. რამიშვილი, მევენახეობის სახელმძღვანელო, თბილისი;
- ჩხენკელი და სხვები (2009): ჰ. ჩხენკელი, ვ. ჩხენკელი, ფ. ჩხენკელი, ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები), გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი;
- რამიშვილი (2000): რევაზ რამიშვილი, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია - (ისტორიულ-არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი;
- Гамкреидзе, Иванов (1984): Т. В. Гамкреидзе, В. С. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси;
- Маслова (2015): В. А. Маслова, Введение в когнитивную лингвистику, Мир языковых форм. сб. науч. ст. к 95-летию проф. Г. П. Цыганенко;
- Маслова (2001): В. А. Маслова, Лингвокультурология: учеб. пос. для студ. высш. учеб. заведений;
- Тер-Минасова (2008): С. Г. Тер-Минасова, Война и мир языков и культур. М.: Слово/Slovo;
- Кунин (2005): А. В. Кунин, Курс фразеологии современного английского языка: уч. пособие для Ин- тов и фак. иностр. яз. Дубна: Феникс;